

J. M. P. S. G. S. a.



წინასიტყვაობის მახვილი.

წინამდებარე არქეოლოგიურს შრომაში, რომელიც არის გაგრძელება ჰირველის ჩვენს წიგნისა („ქრონიკები“ და სხ. ტფილისი, 1893 წ.), ჩვენ განზრახული გვქონდა წინასიტყვაობისა ვრცელი აღწერა იმ ხელ-ნაწერებისა და სხვა წყაროთა, საიდანაც ამოკვეთილია ქვემო-დაბეჭდილი ისტორიული ცნობანი (სოლო მკვლე ცნობანი ამ წყაროებზე ჩვენ შიგ ტექსტში ჩაუერთეთ) და დაწვრილებითი კრიტიკული გამოძიება ჩვენის მატანის „ქართლის ცხოვრების“ ჰირველის ნაწილისა (გიორგი ლაშას შეფობილად დაწვეული ბოლომდე; სოლო გიორგი ლაშაძე ჩვენ უკვე გაკანონეთ ჩვენი მატანი ჰირველს წიგნში) და უმეტესად მეორე ნაწილისა. უკანასკნელის ნაწილის დაწვრილებითი კრიტიკული განჩეკა აუცილებლად საჭიროა და ფრთხილად გამოსადგები ჩვენის ისტორიისა და არქეოლოგიისთვის, მით უმეტეს რომ აქ, ამ უკანასკნელს „ქართლის ცხოვრების“ ნაწილში, ძვეს ის ლოდი, რომელიც ებოძება და აბრკოლებს ყველა ჩვენს არქეოლოგებს. ამ განმეობით აღძრულთა, ჩვენ, დიდი ხანია, შეგუდებით „ქ-ცხის“ მეორე ნაწილის კრიტიკულად განჩეკას და თვით იმ საბუთების გამოძიებისა და გამოჩინებისა, რომელთაგან შედგენილია ეს ნაწილი ჩვენის მატანისა. ჩვენს ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და დღეს უკვე ვრცელი და დაწვრილებითი გამოძიება გააქვს აღწერილი.

35752

მაგრამ რადგან ეს მეორე წიგნი ჩვენის „ქრონიკებისა“ მეტად გაგრძელდა და რადგან თვით ბეჭდვა ამ წიგნისა, ჩემის ახალ-თანამდებობით ქუთაისის გუბერნიისაში გადაყანის გამო, მეტად გაძნელდა, ამის გამო გადაწვევით, ვრცელი აღწერა წყაროებისა და კრიტიკულად გამოჩეკება „ქართლის ცხოვრების“ დანახჩენის ნაწილისა მესამე წიგნში ჩაუერთეთ, სადაც ჩვენ დაბეჭდავთ იმ ცნობებსაც, რომელიც უმეტესად საჭირონი არიან ჩვენის მატანის განსარჩევად და გამოსარჩევად და რომელიც ჩვენ ამ მიზეზით განზრახ გამოაუშვიეთ.

წინამდებარე წიგნი შესდგება ორ ნაწილისაგან. ჰირველს ნაწილში (გვ. 1—90) ჩვენ დაბეჭდეთ „დამატების“ ჰირველის ტომისა, ახუ საისტორიო და სამწერლობო მასალა უძველესის დროისა მე-XIII საუკუნემდე და ამავე ნაწილში მოკაქციეთ „ძველი ერისთავთა“, რომელშიაც აღწერილია ისტორიული ამბები მთიულეთისა, დაწვეული შექვეს საუკუნეიდამ, თუმცა უმთავრესი ნაწილი მისი შეეხება XIII—XV საუკუნეებს. ამავე ნაწილში გვიხდოდა ჩაგვერთო: ა) ახალი ფრთხილად საუურადღებო ვარიანტები წმიდანინოს ცხოვრებისა (ნაწვევტი ამისი ის. ბოლოს: გვ. 519—531), რომელიც ჩვენ ვიპოვეთ სამს სხვა-და-სხვა ხელნაწერებში; ბ) ახალივე ვარიანტი „აღმართებისათვის პატრიოსნისა ჟვარისაჲ მცხეთას“, რომელიც აღმოვაჩინეთ მეთუ საუკუნის ხელ-ნაწერში (ეკლ. მუხ. № 144 შეად. „ქ-ცხისა“ I, 93—97), გ) წის რაყდენის ცხოვრება, რომელიც იძლევა განსხვავებულს და დაიდ საუურადღებო ცნობას მეფე ვახტანგ გორგასლანზე; დ) წის ჰეტრე მიაონელის ცხოვრების ახალი ვარიანტი (შეად. ქ-ცხ. I, 102—

105); ე) ვრცელი აღწერა უძველესი ქართული სამოციქულონი, რომელიც, ჩვენის აზრით, გადმოწერილია მე-IX საუკუნეში პირველის დედნისაგან, თარგმნილისა, როგორც წაწერის გავრცელებს, 399 წელს: „მესამესა წელსა არკადის მეფობისასა და მეოთხესა ჰონორისასა“. ამ წიგნის ორი დედანი, მე-XI და X საუკუნე. გადაწერილი, ჩვენ ვიპოვეთ „წერა-კითხისა სარგადობის“ ხელნაწერებში და მისს ვრცლად შესწავლას შეუძლებათ, მაგრამ სანამ ჩვენს შრომას გაათავებდით, გამგებამ სარგადობისამ ნება არ დაგვართო და მოხსენებულ სელ-წერებში დატვირთვებისა წიგნთ-საცავში; ხოლო თვით ამ წიგნთ-საცავში, ადგილის უქონლობისგამო, ყოვლად შეუძლებელია გულდადებითი შრომა;

ვ) იონა გუთელ ებისკოპოსის კურთხევა მცხეთას; ზ) ახალი და დიდ საყურადღებო ვარიანტი ბაგრატ მეოთხის ცხოვრებისა (1027—1072 წ.); ლ) ათონის მონასტრის აღწერა, რომლისაგან, როგორც ჩვენ სრულის შედარების შემდეგ დავრწმუნდით, წა გიორგი მთაწმიდელს შეუდგენია ერთი ნაწილი წილ ევთიმე მთაწმიდელის ცხოვრებისა; თ) უძველესი ვარიანტები წილ იონა და ევთიმის ცხოვრებათა, დაწერილი 1074 წელს, და წილ გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებისა, გადაწერილი მე-XII საუკუნის ხელით; ი) კათალიკოსის ნიკოლოზის მიერ 1176 წლის ახლო ხანებს შედგენილი სავითხვე სიგელი-ცხოვლის სასწაულებზე; ია) ცხრა ქადაგება ქართველ მწერლისა იოანე ბოლნელისა, ჩვენმიერ აღმოჩენილი მათე საუკუნის სელ-ნაწერებში (ეკლ. მუხ. №№ 95 და 144), საუკეთესო და უძველესი ნაშთი ჩვენის მჭკვერ-მეტყველობითის მწერლობისა; ე) ორი ქადაგება წმიდის ნინოსი, ჩართული X საუკუნე. ხელნაწერში (ეკლ. მუხ. №№ 95 და 144): თუმცა ძველი დასაჯერებელია, რომ თვით წას ნინოს აღწერას ეს ქადაგებანი, მაგრამ, ღრმად დაკვირვების და კრიტიკულად გარჩევის შემდეგ, ყოველს ეჭვს გარკვე რჩება, რომ მოხსენებულის სიტყვების დამწერს სახეში ჰყავს ის კრი, რომელიც თავისას სცემს ნათელსა, ცეცხლსა და მზეს და, მასთანავე, ქადაგება დაწერილია იმ დროს, როდესაც ქართველნი მზეს თაყვანს სცემდნენ: მქადაგებელი სცდილობს, ქრისტიანობა დაუხლოვოს ცეცხლისა და მზის თაყვანისმცემელთა სარწმუნოების უმთავრეს დოქმებს და ამ მიზნით ქრისტიან ჰსასხვს მზედ, ცეცხლად, სითბოდ, ნათელად, რომელიც გამოხსნის აღმოჩენილი და განხატულს ყოველს მისს მოსახლს, ხოლო უჩინო და უსჯულოთა დასწავას; ხოლო თვით მიღება ახლის სჯულისა არის იგივე „ნათლის მიღება“ (ბერძნულად-ვი „განბანვა“ — ბაპტიზმის; ხოლო რუსულად — крещение, ე. ი. ჯვარის მიღება), რასაც კვიან ცეცხლთ-მისხურნიცა; მონათლას მივდელთა მიერ არს „ნათლის დება“ ანუ იგივე „ნათლის მიღება“, რომელსაც ეტროფოდენ მზის თაყვანისმცემელნიცა: ცეცხლ-მისხურთა მოძღვრებით, რომელნიც არ მიიღებენ ამ განმაცხევებელს ნათელს, ისინი დაჩევიან საუკუნო ბნელში, ყინვაში და სატანჯუელში. ამ ნაირად მქადაგებელი არა თუ არ აღიკვეს ხალხის ცეცხლთ-თაყვანისმცემლობითს აზრებს და დოქმებს, არამედ უახლოებს მას თითქმის ერთ-ყოფად ქრისტიანობას, რომელიც შეიცავს ჭეშმარიტს ნათელს, რომლის გარკვე შეუძლებელია სიერცხლე, ჭეშმარიტს მზესა, რომლის გარკვე სუფიებს ბნელი და სიკვდილი. ესრეთი მიმართულება მოხსენებულ ქადაგებისა სრულად ეთანხმება შე-

მდეგს ცნობას წმიდა ნინოს ქადაგების მიმართულებისას, რომელიც იწვევს წმიდა ნინოს ეკლესიის ცნობილ ცხოვრებაში; ორნი იგი მღვდელნი და დიაკონნი ნათელსცემდეს ერსა, და მიატუდებოდა ერი იგი ურთიერთან, მოსწრაფებით ეუბნებოდნენ მღვდელთა, რათა პირველად მსხვე ნათელსცეს, და ესრეთ სურვიელ იყო ერი იგი ნათელისღებისათვის, რამეთუ ესმინა ქადაგებაჲ წმიდისა ნინოსი, რომელსა იტყუნ: „ყოველმან, რომელმან არა ნათელ-ილოს, არა პოვოს მან ნათელი საუკუნო“, ესე იგი, მზის თაყვანისმცემელნი ქართველნი, შემდეგ ესრეთის წმიდის ნინოს ქადაგებისა, დაწუნდნენ, რომ თუ ახალი სჯული არ იწამეს და არ მოინათლნენ, ისინი მოაკლდებოდნენ იმ ნათელს, რომელსაც უჭადა მათ თვით მათივე წინანდელი სჯული. ცხადია, რომ ერთი უმთავრესთა მიზეზთაგანი იმისი, რომ წმიდა ნინომ აღვილად მოაქცია ხალხი, არის ესრეთი ხელგანურად დაყენება ახლის სჯულის ქადაგებისა. — თვით ტექსტიც სრული განმარტება ამ ქადაგებათა და სრული თარგმანი მისი ერთად რუსულ-ქართულად დაწერილის და განმარტულის დავით აღმაშენებელის ანდერძით, რომელიც შარშან გამოვეცი მისის მეუფების გარის ეპისკოპოსის აღქმანდრეს საფასით, ჩვენ პირველად (1892 წელს) გავუგზავნეთ ერთს „პროფესორს“ პეტერბურგში, რათა მას დაბეჭდვინებინა ესენი რომელსამე რუსულს არქეოლოგიურს გამოცემაში, უსასყადლოდ, როგორც საუკეთესო ნიმუშები უძველესის ქართულის მწერლობისა და საისტორიო საბუთებისა. სამწუხაროდ „პროფესორს“ ჩვენ ნაშრომი, სჩანს, არ მოსწონებია და ეს უნდა ყოფილიყოს მიზეზი იმისი, რომ პასუხიც არ გაგვცა ჩვენს წერილებზე და როდესაც უკანასკნელ ერთს ჩემს ნაცნობს მივანდგი შეტეო „პროფესორის“ აზრი ჩვენს ნაწარზე, მან შემომითვალა უკანასკნელის პირით, რომ არცერთი რუსეთის არქეოლოგიური გამოცემა ამ საბუთების დაბეჭდვას არ ჰკისრულობენ... აქ ჩვენ რაღა გვეთქმის იმის მეტი, რომ ან „პროფესორს“ არ წარუდგინა დასაბეჭდად ჩვენი შრომა, რადგან უკარგისად უტყნია, და ან თვით არქეოლოგიურ საზოგადოებათა მწევრნი ვერ აჩვენებენ უმაღლესის ყურადღების ღირსთა არქეოლოგიურთა ნაშთთა უმაღლესებისაგან, რომელნიც დაუბრკოლებლად იბეჭდებიან ეკლესიის არქეოლოგიურ გამოცემაში, თუ გი იმ ქართულ „პროფესორების“ კრიტიკას გაუძლებენ, რომელთა ხელში უსათუოდ უნდა გატარდეს ეკლესიის ქართულ მწერლობის შესახება და ქართულ ტექსტისი შრომა. ხოლო როდესაც ჩვენ პირდაპირ სამეცნიერო აკადემიას გავუგზავნეთ სხვა ჩვენი შრომა, რომელშიც აქა-იქ ჩართული იყო ქართული ტექსტიც, ცნობა მომივიდა, რომ სამეცნიერო აკადემიამ საუფრადლოდ სცნო რა თვით მასალანი და განსაკუთრებით ის ისტორიული მეთოდი, რომელსაც მისდევდა ჩვენი განმარტება, ღირსად სცნო მისი დაბეჭდვა; მაგრამ როდესაც ქართულის ტექსტის შესწორება მიენდო ქართულ „პროფესორს“ (მეორეს), უკანასკნელმა ვერ იცნო ღირსად დაბეჭდვისა სიმრავლისაგამო მრავალ-გაერთა შეცდომათა და სხ. და სხ. ჩვენ ჯერ ვერ მოგვიცლია იმისთვის, რომ უკანასკნელს ღირსეული პასუხა გავსცეთ სიტყვისა და მიდგომილებისათვის, მაგრამ ის გი ცხადია, რომ ჩვენი ქართული „პროფესორები“ გზას უკარგენ ქართულ მწერლობის მუშავთა პირადობათა და შენ-

ჩემობით, გინა თაუ-მოყვარულს ანგარიშებით, რაჟცა ყველაზე ნაკლე უნდა შექშეკ-ნოდეს ზროფესორობას. ეს ზემოჩამოთვლილი ახალი უძველესის დროის საბუ-თები სივრცისაგამო ჩვენ გერ შვეიცარეთ ამ წიგნში, მით უმეტეს, რომ ჩვენ ვაპირებთ ამ მასალების ცალკე წიგნად დაბეჭდვას, რადესაც მოკრებით ამ „ქრონიკების“ მე-სამე ტომის გამოცემას.

მეორე ნაწილი წინამდებარის წიგნისა შეადგენს ჩვენგან შეკრებილ „ქრონიკას“ თამარ მეფის სიკდილიდან დაწყებული მე-XVII საუკუნის დასასრულამდე. ამ ნაწილში მოთავსებულია: ა) ოც-და-სამი „ცნობილნი ქრონიკები“ ანუ ქრონოლოგიური ცნობები, ჩვენგან ამოკრეფილი სსკა-და-სსკა ხელნაწილები: „აფხაზთა ქრონიკა“, ეკლესიის მუხეუმის ხელნაწ. № 85 ჩართული ქრონიკები, „დადიანთა ქრონიკა“, „წიგნი ქრონიკონნი“, ქრონიკები, ჩართული ჩემს ყაბნებში №№ 2 და 3; ქრო-ნიკები, ჩართული გულახებში: სამს გელათისაში (ორი გელათისა და ერთი წმიდა გიორგის ეკლესიისა), წმიდა ნიკოლოზის ეკლესიისაში (ძეგეს ახლც), ყანჩათისაში ბუდიისაში (ეგ. მუხ. № 186), ქვათასკვისაში, ცაიძისაში, შემოქმედისაში; ატრე-თვე ქრონიკები, ჩართული იკორთის ძილისპირში № 6, წერა-კითხვის სასოგადლების ხელნაწილებში №№ 252 და 1204; ეკლესიის მუხეუმის პარაკლიტონში № 49, და ცალკე რეგულბზე სსკა-და-სსკა პირთაგან სსკა-და-სსკა დროს ხელნაწერთაგან გადმოწერილი ქრონიკონნი: ნ. ანთაძის (გელათიდან), „ჩხეიძის ქრონიკა“, მღ. პოლიეგეტ კარბულაშვილის მიერ პოენილი და გადმოწერილი ქრონიკა და რამდენი-მე ქრონოლოგიური ცნობები, ცალკე ქალაქზე დაწერილი, ნ. ანთაძის მიერ გად-მოცემული. — სისრულისათვის და გასაადგილებლად შესწორებისა, ჩვენ ამ ქრონიკებს ჩაურთეთ ესრედ წოდებული „კასუშტის ქრონიკა“, დაბეჭდილი ქცხაში II, გვ. 237—257. შემდეგ ჩვენს შრომაში ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ეს ქრონიკა კასუშ-ტის არ ეკუთვნის (მას მხოლოდ რამდენიმე ცნობა ჩაურთავს იმაში), არამედ სსკა პირებს, რომელთაც ეს ცნობები ამოუგრებიან სსკა-და-სსკა ხელნაწილებიდან. ჩვენს ქრონიკებთან შედარებით მკითხველი დაწმუნდება, თუ რამდენად ამათლებს, ასწო-რებს ანუ აღავსებს ჩვენი ქრონიკები პირველს და რამდენად საყურადღებო და და-სანდობი ყოფილა იგი; ბ) სსკა-და-სსკა ხელნაწილებში ჩართული კერძო საბუთები და ისტორიული ცნობები, რომელნიც ჩვენ ქრონოლოგიურად და ისტორიულად განვმარტეთ და თითოეულს თვისი წყარო შედეგ ვუჩვენეთ. განსაკუთრებული ყუ-რადლების ღირსად მიგვაჩნია ისტორიული წერილები და ცნობები, ჩართული ია-ნუ შავთელის კვინცლოსში. ამ მასალის დაწერილებითს ნუსხას მკითხველი აპოვის ქვემო, სარჩევში; გ) კერძო საბუთები, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებონი არი-ან უძველესნი: სამი საბუთი მეფის დავით-ნარინის დროსა (აქამდი არცერთი სა-ბუთი არ იყო ცნობილი მისის მეფობისაგან), ულუ-დავითის დროს 1262 წლის ახლოხანებში მომხდარის საეკლესიო კრების „ძეგლისაგან“ ფრად საყურადღებო ნაწივეტი; რკინის სიგელი 1259 წლის და ამირეჯობთა საკარეულთა ისტორიუ-ლი სიგელები, ძეგთვასი სიგელი მეფის დავით VIII 1355 წლისა, რომლის დრო-საგან აქამდი არცერთი არ იყო ცნობილი, და სსკა მრავალი კერძო გვარების სა-

გელ-გუფსარნი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და განმარტულნი; დ) ისტორიულნი წარწერანი, აღმოკითხულნი სსკა-და-სსკა ხელ ნაწერებში, სატ-ჯგურებზე, შენობათა კედლებზე, სამღვდელთა შესამოსლეებზე და სსკ.; ე) სიგელინი და გუფსარნი სსკა-და-სსკა მონასტრთა და ეკლესიათა, უმეტესად მცხეთისა, ბიჭვინტისა, გელათისა და სსკ., ქრონოლოგიურად დაწყობილი და, სადაც საჭირო იყო, განმარტულნი; გ) მცხეთის სიგელ-გუფსართა ნუსხა, აღწერილი კათალიკოსის ნიკოლოზ ამილახვარის ბრძანებით (1676—1688 წ.), რომელშიც ჩვენ ვიპოვეთ მრავალი უმაღლესის დირსების საისტორიო ცნობანი (იხ. ქვემო დაწერილებითი შინაარსი წიგნისა).

უკელა საბუთებს ზედვე უწერია ისიც, თუ საიდან არიან ამოღებულნი; ხოლო მონასტრ-ეკლესიების საბუთებს და ნუსხებს იქვე უზის ნომრები და ქართული ნუსხები, რომლითაც მსურველი ადვილად მოძებნის იმ საბუთებს იმავე ნომრებს ქვეშ სინოდალურ კანტონის გუფსარებსა და რეესტრებში, რომელნიც დაცულნი არიან თფილისის და ქუთაისის სახელმწიფო ქანებათა გამგებობაში და საეკლესიო მუზეუმში. რადგან სიგელ-გუფსარნი იწებებიან გრძელ ღვთის-მეტყველურ წინასიტყვაობით და კბოლოვდებიან გრძელად დაწერილის წიგნ-გრულეთ, ამისგამო ჩვენ ეს ნაწილები განგებ გამოკუშვით შემოკლებასათვის ღ მხოლოდ რამდენსამე გუფსარში დაკრთვით ნომრებზე; ხოლო იმ გუფსარებისაგან, რომელნიც შინაარსით ნაკლე მინაშენლობისად ვცნით, ჩვენ ამოკრთვეთ მხოლოდ უფრო საჭირო ცნობები სიტყვა-სიტყვით. სადაც ჩვენ განგებ გამოკვიშვას სიტყვები ანუ მთელი სტრიქონები, იქ დაკისით მრავალი წერტილები (....), ხოლო რომელი ალაგი დედანს აკლდა ანუ ვერ აღმოძიებოდა, იქ დაკისით მოკლე ხაზები ანუ „დეფიზები“ (- - -); სადაც-გი მოხეული ანუ დაზინებული ტექსტი ჩვენ მიგნებით აღმოკვირთხეთ და ანუ ნუსხით აღვადგინეთ, ის სიტყვები და ფრასები დიდს ფრჩხილებში ჩავსით ([]). რომელს სიგელ-გუფსარებს უზის ორ-ორი ნომერი, რუსული (არაბული) და ქართული, ამისთანა სიგელ-გუფსარები ჩვენ გვიპოვა თუთ-ასლიც (არაბულ ციფრის ნომრით) და ნუსხით (ქართულ ასრებით დანომრული, ნუსხისაგან № 507).

მეთექვსმეტე საუკუნის ნახევრიდან დაწყოული საისტორიო სიგელ-გუფსარები და სსკა საბუთები, გარდა „ქრონიკებისა“ ჩვენ ან შემოკლებით შემოკითხნით ამ წიგნში და ან სრულიად გამოკუშვით, რადგან საჭიროდ ვცნით ეს მასალა მოკაქციოთ ამ „ქრონიკებს“ მესამე ტომში, სადაც ჩვენ დაწერილებითის განმარტებით და საბუთების შედარებით ერთად გვინდა გამოვცეთ უმთავრესნი დაბეჭდილი და ჩვენგან პოვნილი დაუბეჭდანი ისტორიულნი საბუთნი მე XV—XVIII საუკუნისანი, რათა ამ გარდა გამოვცემით სრულიად ცხად ვყოთ ის, თუ რას წარმოგვიდგენს ჩვენ ესრედ წოდებული მეორე ტომი „ქართლის ცხოვრებისა“, ვისგან და რა საბუთებით არის იგი შედგენილი, შეთხზული, გინა აღწერილი, — გასტანგე მუფისაგან აღწერილებული, როგორც თუთონ მთავრისაგან, ანუ მისის კომისიისაგან, გინა მხოლოდ გასტანგის რედაქციით გასწორებული, როგორც რომელთამე გამოკითხვას, და რა ღვაწლი მიუძღვის მასში თვით ვახუშტის.

აქ მსოფლად იმას ვიტყვით, რომ ჩვენი მატანე XIV—XVI საუკუნეთა აღსაკნა დიადის ნაკლულებანებით და მეტად ღარბობა თვით ცნობებით. ამ წიგნში დაბეჭდილ მასალასაც რომ დააკვირდეს გონიერი მკითხველი, იგი უსათუოდ უნდა დარწმუნდეს, თუ ვითარის სიბუნელით მოცულია ჩვენი მატანე XIV, XV და XVI საუკუნეებისა: ამ საბუთებში მკითხველი იპოვის იმერთა და იმერთა არა ერთს და არს მეფეებს, რომელნიც სრულიად მოხსენებულნი არ არიან ჩვენს მატანეში და ისრეთა მსხვილ-მსხვილ მოკლენათა, რომელნიც ცალის სიტყვითაც აღნიშნულნი არ არიან. მაგალითად ავიღოთ ვასთა მეფენი: ქართლის ცხოვრების და თვით ვასუშტის ისტორიით მე XV—XVI საუკუნეებში ვასეთში უმეფენათ მსოფლად სამს მეფეს: დავითს (+1471 წ.), მისს ძეს გიორგის (+1492 წ.) და ალექსანდრეს (+1511 წ.). ხოლო ამ წიგნში დაბეჭდილ ცნობებიდან სჩანს, რომ იმავე დროს ვასეთში უმეფენათ შვიდს მეფეს: დავითს, ალექსანდრე I-ს (იგივე ლეონ I), გიორგი I-ს, ალექსანდრე II ს (+ 1476), გიორგი II ს (+ 1492), ვასტანგს და ალექსანდრე III ს, ა-გიორგის მამას. ესრეთივე ნაკლულებანება სჩანს სამცხე-საათაბაგოს და იმერთის ისტორიაშიც. დროა, შეუდგეს ჩვენი უკეთესი საზოგადოება იმის აღვსახსნა, რაც ვერ შესძლო მსოფლად ვასტანგ მეფის მეცადინეობამ და ახალი წყაროები აღმოუჩინოს ამ საუკუნეთა წყვილადს ჩვენის ისტორიისას (XV—XVI საუკ.).

გარდა ზემოხსენებულის XVI—XVIII საუკ. საისტორიო მასალისა მესამე ტომში ჩვენ გაავრცელებით ჩემოდანსახლებულ ცხრილოვან ქრონიკების ბეჭდვას და რამდენსამე ახალს ცხრილოვანსავე ქრონიკებს ჩაკურთავთ XVIII—XIX საუკუნისას და აგრეთვე სივლე-გუჟარებიდან და სელ-ნაწერ წიგნებიდან ამოკრეფილს საისტორიო და სამწერლობო მასალას, ხოლო დამატებაში დაბეჭდავთ მრავალს ახალ ისტორიულ წყაროებს, რომელნიც ქრონოლოგიურს რიგს ჩვენის ქრონიკისას ვერ ეთავსებიან. *)

დასასრულ ვაღა ვრაცხ გამოვაცხადო, რომ ამ წიგნის დასტამვის მიზნით არის უბრწეინალები თავად, გამეგრე მისის იმპერატორების უდიდებულესობისა, ვასტანტინე ივანეს ძე მუსრან-ბატონი, წინამძღოლი თფილისის გუბერ-

*) აქ საჭიროდ ვრაცხ ორიოდ სიტყვა შემოვიტანო იმ მიზნითა შესახებ, რომელთაგამო დაგვიანდა ამ მეორე ტომის გამოცემა 1893 წლიდან ამა 1897 წლამდე. ჩვენ უკვე პირველსავე ტომში აღვნიშნეთ, რომ რამდენთამე ჩვენთა პირადის ანგარიშებით დაბნელებულთა პირთა სასტიკი დევნა დაგვიწყეს იმავე დროიდან, რა-დროხაც გამოვაცხადეთ ხელ-მოწერა ჩვენის შრომის დასაბეჭდად, არა თუ ბულვარ-ქუჩებში, არამედ თვთ მწერლობაშიც და შეაყენეს ხელისმოწერა (იხ. „ქრონიკები“ წიგნი I, გვ. IV—V და LXVII—LIX). ხოლო როგორც-კი გამოვიდა პირველი წიგნი ჩვენის შრომისა, ესვე პირნი გამოვიდნენ ნიღაბამოფარებულად (ფსევდონიმებით) და გამოაცხადეს, რომ ჩვენი შრომა უნდა იყოს გადმობეჭდილი პ. იოსელიანის ვითამდა დაკარგულ ისტორიულ კრებულიდან. რა თქმა უნდა, ამ გვარის ბრალმდებლობით ვერცერთს, ისტორიაში შეგნებულს, კაცს ვერ დაარწმუნებდენ, რადგან თითოეულს ჩვენს ისტორიულს ცნობებს იქვე გვერდზე უწერია თვთ ის წყა.

ნისი თავად-აწინაურობისა, რომელმაც კეთილ-ცნება და მიბრძანა მე ყველა ჩემგან შეკრებილის საისტორიო და საგანმატიკო მასალის და თხზულებათა დასტამბვას სრულის მისის უბრწინჯალესობის სარწმუნო. ამისთან, მისმა უბრწინჯალესობამ გამოიმტკიცა, რომ თვით დაბეჭდილი წიგნები დაჩხეს აკქონის სასარგებლოდ. ესრეთი გულ-უხეი შეწირულობა საზოგადო საქმისადმი, სამშობლო ისტორიისა და მწერლობის გამოსაკვლევად დაიდაც თავსაჩინოა, და ჩვენ კვდებით ესრეთი ნდობა მუხრან-ხატონისა გაკაპართლოთ. რაც მათგან გამოცემულის წიგნების გასვიდვისა-

რო, საიდანაც ამოღებული გვექონდა დაბეჭდილი ცნობები, სად ინახება ის წყარო და რომელ ნომრებით და სხ. და სხვ. მაგრამ. მოგვსენებთ, ჩვენს საზოგადოებაში სპეციალისტები ნაკლებია და მოქმედებთ ამისი იმედი ჰქონდათ. ჩვენს საპასუხოდ დაწერილ შენიშვნებში მაშინვე დავარღვიეთ ცილის წამება უსახელოთა მბრალმდებელთა და აღმოვაჩინეთ არა თუ თვით ის ვითომდა დაკარგული პ. იოსელიანის კრებული, დავამტკიცეთ, რომ ამ კრებულში დამ ჩვენ აღმოგვიჩერია არა უმეტეს ორის გვერდისა და ყოველგან დავგისახელებია ავტორად არა ჩვენი თავი, არამედ თვთ პ. იოსელიანი, ხოლო რაც მისის ხელით არ იყო დაწერილი, ის უსახელოდ დავგიდგია ესრე: „იხილე ჩემი ისტორიული კრებული“, გვ. ზ. სხ. აქ უნდა შევნიშნო, რომ ეს კრებული არ ეკუთვნის პ. იოსელიანს, არამედ შესდგება სხვა-და-სხვა პირთა-მიერ დაწერილ მასალასაგან, ხოლო ერთი მესამედი დაწერილია თვთ პ. იოსელიანის, ხელით და წარმოგიდგენს შავს მისის ნაწერებისას, რომელთაგან უმეტესი უკვე გამოცემულია. განსვენებულმა დ. ბაქრაძემ დაშალა ეს კრებული, **რომელიც ბაქრაძისავე ხელით თავიდაც ბოლომდე აღწესებული იქო,** და რაც საჭირო და გამოსაყენებელ მასალად სცნო, ის თავისთვის დაიტოვა და ცალკე ყდაში ჩასამეინა, ხოლო დანარჩენი ნაწილი, რომელიც უვარგისად სცნო, მე მიბოძა; რომელსაც მე პირველ წიგნში და ამ მეორეშიც ვუწოდებ „ჩემ ისტორიულ რა-საკვირველია, კრებულად“, როგორც ნივთს და არა როგორც შრომას. თვთ დ. ბაქრაძე ამავე კრებულს უწოდებს მასს საკუთრებად ყველა შემთხვევაში, როდესაც აქილამ ამოაქვს ცნობები (იხ. მისი შენიშვნები ვახუშტის ისტორიაში, და „საქართველოს ისტორიაში“ და სხ.). ამ ნაირად, იმ თავითვე ძირიანად დაირღვა უსახელო მწერალთა ცილის-წამება. მაშინ უკანასკნელთ ეს ხერხი იღონეს: რა-კი კარგად იცოდნენ, რომ ხსენებულის კრებულისაგან მე მქონდა მხოლოდ ერთი მესამედი და დანარჩენი დაცული იყო დ. ბაქრაძის ქვრივის სახლში, ამისგან მო შევაგონეს და ათქვეინეს უკანასკნელს, ვითომ დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკაში არავითარი ნაწილი იმ კრებულისა არ იპოვებადეს და ვითომ მან არც ის იცოდეს, თუ რა გზით ჩამივარდა მე ხელში ერთი ნაწილი კრებულისა. აქილამ ცილის-მწამებელთ ორგვარი იარაღი იშოვეს: ერთი ის, რომ მათ მიეცათ საშუალება, ყველა ქუჩა-უბნებში გავერცლებინათ ხმა, ვითომ მე სწორედ ის ნაწილი კრებულისა უნდა დამბეჭდოს და მიმეთვისებინოს, რომელიც აკლდა ჩემს კრებულს და რომელიც დაბეჭდვის შემდეგ ვითომ ცეცხლში უნდა დამწევას, ხოლო მეორე და უმწარესი ის, რომ სადაო კრებულის უკანონოდ მითვისება და დასაკუთრება დამბრალდონ. ამ ნაირად, საჭიროდ გახდა პირველად დ. ბაქრაძის ოჯახში აღმოგვეჩინა დანარჩენი ნაწილი კრებულისა, ხოლო მეორედ გამოგვიტეხა დ. ბაქრაძის ქვრივი იმაში, რომ ხსენებული ნაწილი სადაო კრებულისა მე მქონდა თვით მისის ნებაყოფლობით და არა მალვით. ამაზე ატეხილმა პოლემიკამ სრულიად გაფანტა ყველა ეჭვები: დ. ბაქრაძის ქვრივმან აღვოკატის ფრენკლის პირით გაზეთ Новое Обозрѣніе-ში გამოაცხადა: 1) მეორე ნაწილი ხსენებულის კრებულისა უკვე აღმო-

გან ფუელი შეიკრებიება, ჩვენ სრულად მოვასმავთ საქართველოს ისტორიის და მწერლობის გამოკვლევას და ყოველს ამ თანხით დაბეჭდილს შრომას გამოვცემთ მისის უბრწინააღმდეგობის სახელით.

ჩნდა დ. ბაქრაძის წიგნებში და ამ კრებულში იპოვებო ეს და-ეს გვერდები (სრულად ჩამოთვლილია) და დანარჩენი აკლია. სწორედ ის გვერდები, რომელიც აკლდა ამ ხელ-ნაწერს, აღმოჩნდა ჩემს კრებულში და, მაშასადამე, მთელი კრებული აღდგენილ იქმნა; 2) ამასთანვე დ. ბაქრაძის ქვრივმან გამოაცხადა, რომ მან 1892 წლიდან, ესე იგი, პოლემიკის ატეხამდი ორის წლის წინეთ უკვე **უწყობდა ჩემბან**, რომ ხსენებული ნაწილი სადაოდ დადებულის კრებულისა მე მქონდა მისისავე ნებაყოფლობით და ცნობით.

საქმე იმაში გავლავთ, რომ დ. ბაქრაძის სიკვდილის უმაღვე ყოველ ექვების ასაცდენად, მე მოვახსენე მის ქვრივს ზემოდწერილი გარემოება, რომ ზემოდსახელებული ნაწილი კრებულისა ნაბოძები მაქვს-მეთქი განხვინებულის დ. ბაქრაძის მიერ და თუ ჩემს საკუთრებად იცნობთ, კარგი, თუ არა, მიბრძანეთ და მოგართმევთ-მეთქი. ქვრივმა არ ისურვა, რომ ის კრებული ჩემს საკუთრებად დარჩენილიყო და მხოლოდ დროებით, ნათხოვრობით, დასტოვა ჩემთან, სანამდი დასრულდებოდა ბეჭედა ჩემის თხზულებისა: „**Антоній I, Католикосъ**“. ამის შემდეგ მეტი რაღა დამრჩებოდა: გამოვეუცხადე ცილის მწამებელთ, რომ მობრძანებულებიყვნენ და ორივე ნაწილი კრებულისა შეესწორებინათ და, თუ რასმე ავტორის გამოუცხადებლივ გადმობეჭდილს იპოვნიდენ ჩემს „ქორონიკებში“, გახეთით გამოეცხადებინათ. მაგრამ მოწვეულნი არ გამოცხადდენ, ნიღაბის ახლა სირცხვილით ვერ იკადრეს, სორობებში მიიმაღლენ და გაინაზნენ, და ამით საქვეყნოდ საცნაურ ქმნეს, რომ იგინი თვთონაც სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ იმის სიცრუეში, რასაც სხვას არწმუნებდენ.

მთელი გრძელი პოლემიკა, ზემოხსენებულ კრებულის გამო ატეხილი, დიდად საყურადღებოა, როგორც ისტორიული მასალა, დამახასიათებელი ზნე დაცემულობისა იმ ნაწილის ჩვენის; ვითომ-და ინტელიგენციისა, რომელსაც ის ნაკულუფავანება-და აქვს, რომ შრომა ეზარებათ და მამულის სიყვარულისა და კაცურ-კაციანობისაგან გადაკარგულნი არიან. ამისგამო ჩვენ განზრახული გვაქვს ზემოხსენებული პოლემიკა სრულად გამოვეცეთ.

გაზდა ამისა, რადგან ერთმან უსახელო პირმან გახეთს „ივერიაში“ სურვილი გამოაცხადა, რათა შეიკრიბოს თანხა პ. იოსელიანის ყველა თხზულებათა გამოსაცემათ, ამისგამო ჩვენ დიდის სიამოვნებით გამომცემთ იმ საისტორიო კრებულს, რომლის ერთი ნაწილი მე მაქვს, თუ-კი ამისთვის საჭირო თანხას გადმომცემენ. რედაქტორობასაც მე ვკისრულობ, რადგან პ. იოსელიანის ნაწერებში აუარებელი ისტორიული შეცდომები მოიპოება, რომელიც შიგ ტექსტში ან შენიშვნებში თუ არ გასწორდა, ყოველი ფასი დაეკარგება გამოცემას, ხოლო დაბეჭდის შემდეგ ხსენებულს ხელნაწერს გარდავსცემ დ. ბაქრაძის ოჯახობას ანუ „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს. ამას-კი მაინც საჭიროდ ვრაცნ ამ თავითვე გამოვაცხადო, რათა ბოლოს საზოგადოების საყვედური ავიცილინო, რომ ის ნაწილი კრებულისა, რომელიც მე მაქვს, ვერ შესძენს ჩვენს ისტორიას ახალს ცნობებს. მხოლოდ უმციურესი მისი ნაწილი (ორმოციოდ გვერდი) გამოსაყენებელია ჩვენის ისტორიისთვის და ღირსი დასტამბისა.

სოფლ ეს გამოცემა ჩვენ ვუძღვევით დაუკვირს სისხლკარს განსვენებულის
 ნინო სამეგრელოს მთავრის ლეკან დადიანის ასულისას და ივანე კონსტანტინეს ძის
 მუსხან-ბატონის მეუღლისას. ყველამ იცის და ჩვენმა მწერლობამაც აღიარა, რომ
 განსვენებული ნინო, მიუხედავად მეფურის შთამომავლობისა, იყო შესანიშნავი მშრო-
 მელი, მსნე, მოღვაწე, მეოჯახე და მაღალკეთილშობილურის ხასიათითა და ზრდი-
 ლობითა შემკობილი. იგი იყო ჭეშმარიტი სისე ჩვენის ძეგლის დედებისა, „უკა-
 ნასკნელი დარბაისელი ქართველი ქალი“.

უკანასკნელ მაღლობასა ვსწირავ ყველა იმ მეგობართა, რომელნიც ზნეობით,
 ჩხეკითა ანუ საისტორიო მასლის მოწოდებით შემეწივნენ, განსაკუთრებით ბატონს
 ალექსანდრე ყიფშიძეს, რომელმაც მრავალ-გვარა დასმარება აღმომიჩინა მე ამ შრომაში.



147.922(093)

г 841